ლელა ცუცქირიძე

ბუტბუტა ბუკნაჭო

კლასი I
კითხვის დონე – 1.1
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი: **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ეს ბუკნაჭოა. ბუკნაჭო
ბებიამ დაარქვა.

ბუკნაჭომ ბევრი ითამაშა.
ბუკნაჭო დაიღალა.

ბუკნაჭო ბებიასთან მივიდა.

ბებია ბალიშზე იჯდა და ბალს არჩევდა. ბალი ტკბილი იყო. ბუკნაჭოს უყვარს ბალი.

ბუკნაჭო აბუტბუტდა:

— ბებო, აი ის მინდა, — ბ-ბ-ბ...

— ბალი? — ჰკითხა ბებია ბუმ.



— არა, აი, ის, — ბ-ბ-ბ...

— ბურთი? — ჰკითხა ბებია ბუმ.

— არა, არა, აი, ის, ბ-ბ-ბ...

— ბანანი? ბატი-ბუტი? ბოლოკი? — ისევ ჰკითხა ბებია ბუმ.

ბუკნაჭო ისევ აბუტბუტდა:

— არა, აი, ის, ბ-ბ-ბ...

— აიღე ბალიში და წადი, დაიძინე! — გაბრაზდა ბებია ბუ.

— ბალიში, ბალიში მინდოდა! — გაუხარდა ბუკნაჭოს. — ტკბილი სიზმრები, ბებიკო!

ეს ბუკნაჭოს ბალიშია. ბალიში თბილი და რბილია.

– ტკბილი სიზმრები, ბუკნაჭო!

სახალისო კროსვორდი

თუ სწორად შეავსებ კროსვორდს, გაიგებ, რისი თქმა უნდოდა ბუკნაჭოს.



1. ღამით გვახურავს, რომ არ შეგვცივდეს;

2. ბუკნაჭოს საყვარელი ხილი;

3. როგორი იყო ბალი, ბებია რომ არჩევდა?

4. თუ ბევრ ტკბილეულს შეჭამ, აგტკივდება ... ;

5. დიდ კბილს ჰქვია ... ;

6. რა საერთო სახელი აქვს ბალს, ბანანს, ბროწეულს?